



Independent
Project
Accountability
Mechanism

საჩივარი: შუახევის ჰიდროელექტროსადგური ს მშენებლობის პროექტი

მოთხოვნის ნომერი: 2018/03

პრობლემის მოგვარების დასრულების ანგარიში – ოქტომბერი, 2020

2020 წლის ივლისამდე, პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM) წარმოდგენდა EBRD-ის ანგარიშგების მექანიზმს. PCM ითვალისწინებს კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ ბანკის დაფინანსებით განხორციელებული პროექტების შესახებ წარდგენილი საჩივრების დამოუკიდებელ განხილვას, რომლებმაც სავარაუდოდ, გამოიწვიეს, ან შეუძლიათ გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - ხელი შეუწყოს პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის წამოჭრილ გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადაჭრას; ასევე, დაადგინოს შეასრულა თუ არა, ბანკმა თავისივე გარემოს დაცვის და სოციალური პოლიტიკა ან ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებული დებულებები; და სადაც ეს რელევანტურია, ამ პოლიტიკის ნებისმიერი შეუსაბამობების აღმოფხვრა და ბანკის მიერ შემდგომი შეუსაბამობის თავიდან აცილება. 2020 წლის 1 ივლისიდან, PCM ჩაანაცვლა პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელმა მექანიზმმა (IPAM). მექანიზმის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაგვიკავშირდით ipam@ebrd.com ან ეწვიეთ ვებგვერდს.

ამ ანგარიშის შესახებ:

შუახვევის საჩივარიშემოტანილი იქნა 2018 წელს და შესაბამისი პრობლემის მოგვარების ინიციატივა ხორციელდებოდა 2018 წლიდან 2020 წლის ივლისამდე EBRD-ის PCM-ის ფარგლებში, 2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად. 2019 წლის IPAM -ის პოლიტიკის გარდამავალი დებულებების (ნაწილი V) თანახმად, ამ ანგარიშში ყველა მითითება კვლავ PCM-ს ეხება.

<p>საკონტაქტო ინფორმაცია</p> <p>პროექტის დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმი (IPAM)</p> <p>ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი პირველი საფონდო ბირჟის მოედანი, ლონდონი გაერთიანებული სამეფო, საფოსტო ინდექსი EC2A 2JN ტელ: +44 (0)20 7338 6000 ელფოსტა: ipam@ebrd.com ვებგვერდი: Website</p>	<p>პროექტების გასაჩივრების მექანიზმში (IPAM) მომართვის წესი</p> <p>EBRD-ის პროექტის გარემოსდაცვით, სოციალურ ან საჯაროობის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრება შესაძლებელია. ფოსტით, ტელეფონით ან მითითებულ მისამართზე წერილობისგან ამოგზავნი თანონლაინ ფორმისშევესებით IPAM Online Request form.</p>
---	--

მიმოხილვა

2018 წლის თებერვალში, პროექტების გასაჩივრების მექანიზმში (PCM) საქართველოში მახალაკიძეების სოფლის, რაბათის თემის წევრებმა (შემდგომში „მოსარჩელე“) [საჩივარი](#) შემოიტანეს [EBRD-ის შუახვევის ჰიდროელექტროსადგურის](#) (შემდგომში, შუახვევის ჰიდროელექტროსადგური, ან პროექტი) პროექტთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო მეწყერული პროცესების რისკზე; სასმელ წყალსა და სარწყავ სისტემებზე; ასევე, მდინარე აჭარის წყალის კალაპოტში წყლის დონესა და ადგილობრივ მიკრო-კლიმატზე გავლენის შესახებ.

საჩივარის შესაბამისობის კრიტერიუმების შეფასებისას, მოსარჩელეები და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კლიენტი, შპს „აჭარისწყალიჯორჯია“ (შემდგომში, მხარეები) შეთანხმდნენ ჩართულიყვნენ პრობლემის მოგვარების ინიციატივაში და მონაწილეობა მიეღოთ მედიაციის პროცესში PCM-ის ნეიტრალური და მიუკერძოებელი პლატფორმის საშუალებით, საჩივარში წამოჭრილი საკითხების მოგვარების მიზნით. **მხარეებმა მოითხოვეს, რომ პრობლემის გონივრულად მოგვარების მიზნით, პრობლემის მოგვარების ინიციატივის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები და შედეგი ყოფილიყო კონფიდენციალური და ამგვარად, დასრულების ანგარიში წარმოადგენს მედიაციის პროცესის მალალი დონის შეჯამებას.**

მსგავსი საჩივარი წარედგინა აზიის განვითარების ბანკის პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისს (OSPF) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის სამსახურს (CAO). მოხდა შეთანხმება, რომ CAO და PCM (მექანიზმები) ერთობლივად შეუწყობდნენ ხელს პრობლემის მოგვარების ინიციატივას და OSPF იმოქმედებდა პროცესზე დამკვირვებლის სტატუსით, ძალისხმევის დუბლირების და ზოგადად, მხარეების ზედმეტად დატვირთვის თავიდან აცილების მიზნით.

2018 წლის ივნისიდან 2020 წლის ივნისამდე, PCM-მა და CAO-მ ჩაატარეს მედიაციის 19 სავლე მისია და ხუთი ერთობლივი შეხვედრა მხარეებსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის, მათ შორის, მუნიციპალური და რეგიონული მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით. პროცესის განმავლობაში, მექანიზმების მიერ ხელშეწყობის შედეგად:

- გაძლიერდა მხარეების შესაძლებლობა მედიაციასა და დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის პროცესში ჩართვის თვალსაზრისით. ტრენინგების, პროექტის შესახებ ინფორმაციის გაცვლის და სამუშაო ჯგუფის შექმნის საშუალებით მოსარჩელეს, კლიენტისა და მთავრობის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ წამოჭრილი საკითხების მოგვარებაზე ემუშავათ;
- კლიენტის მოთხოვნით და მოსარჩელის თანხმობით, პროცესში ჩაერთნენ ადგილობრივი და რეგიონული მთავრობის წარმომადგენლები, განსახილველი საკითხების გადაჭრის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით;

- მოლაპარაკებები გაიმართა თემის უსაფრთხოებისა და განვითარების ერთობლივი პროგრამის შექმნის შესახებ, რითაც შესაძლებლობა გაჩნდა თემის უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებისთვის რეგიონალური მთავრობის, კლიენტისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ერთობლივი მხარდაჭერის მობილიზებისათვის;
- გაიხსნა საკომუნიკაციო არხი სამომავლო დიალოგისთვის, რომლის საჭიროების შემთხვევაში გამოყენების შესახებ მხარეები შეთანხმდნენ;
- COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში პრობლემის გადაჭრის ინიციატივამ შეძლო დაესრულებინა დიალოგის პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა ძალისხმევა არ დაიშურეს მიეღწიათ საჩივარში წარმოდგენილი ყველა საკითხის გადაწყვეტისათვის, ვერ მოხდა საბოლოო შეთანხმების მიღწევა თემის უსაფრთხოებისა და განვითარების ერთობლივი პროგრამის პირობებზე. ამჯერად განიხილება მიმდინარე დიალოგის პროცესის გაგრძელება უფრო მცირე სამუშაო ჯგუფების ფორმატში PCM-ის პრობლემის მოგვარების პროცესის მიღმა. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, PCM-მა დაადგინა, რომ სავარაუდოდ აღარ იქნებოდა პროგრესი მიღწეული მხარეთა შორის მეხუთე ერთობლივი შეხვედრის შემდეგ და ამიტომ, მედიაციის პროცესი დაიხურებოდა. პროცესის კონფიდენციალურობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პრობლემების გადაჭრის მექანიზმის დასრულების ანგარიში წარმოადგენს მედიაციის პროცესისა და მიღწეული შედეგის მიმოხილვას, ასევე, გვთავაზობს მხარეებისა და PCM-გან მიღებულ მოსაზრებებსა და გამოცდილებას.

სარჩევი

I. მიმოხილვა.....	3
აკრონიმები/განმარტებათა ნუსხა.....	6
II. 1. მიმოხილვითი ინფორმაცია.....	7
პროექტი.....	7
საჩივარი.....	7
III. 2. შესაბამისობის შეფასება.....	8
IV. 3. PCM-ის პრობლემის მოგვარების ინიციატივა.....	9
V. 3.1 პროცესის დიზაინი და შესაძლებლობების განვითარება.....	9
3.2 ჩარჩო შეთანხმება და პროცესის განვითარება.....	10
3.3 მოლაპარაკება ძირითად საკითხებზე და სამუშაო ჯგუფის შექმნა.....	11
3.4 ერთობლივი პროგრამის შემუშავება თემის უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის.....	12
VI. 4. პრობლემის მოგვარების შედეგი.....	13
VII. 5. დასკვნა.....	14

აკრონიმები/განმარტებათა ნუსხა

ADB OSPF	აზიის განვითარების ბანკის პროექტის ფასილიტატორის ოფისი	სპეციალური
CAO	საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მრჩეველი ომბუდსმენის სამსახური და მსოფლიო ბანკის მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (MIGA)	
კომპანია/კლიენტი	შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“	
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია	
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	
IPAM	პროექტის დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმი	
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი	
პოლიტიკა	PCM-ის პროცედურული წესები, რომელიც არეგულირებს PCM-ის ფუნქციონირებას	
პრობლემის მოგვარება	პრობლემის მოგვარების პროცესი, როგორც PCM-ის ერთ-ერთი ფუნქცია	

1. მიმოხილვითი ინფორმაცია

პროექტი

შუახვევის ჰიდრო ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი (პროექტის N45335) გულისხმობს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიისთვის“ (შემდგომში, კლიენტი) გაცემულ 86.5 მილიონ აშშ დოლარამდე (63.7 მილიონი ევრო) EBRD-ის პრიორიტეტულ სესხს შუახვევის ჰესის განვითარების, მშენებლობისა და ოპერირების დასაფინანსებლად. ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდინარე აჭარისწყალზე. შუახვევის ჰესის დადგმული სიმძლავრეა 185 მეგავატი, სავარაუდო ელექტროენერჯის გამომუშავება 452 გიგავატ/საათი. ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს ჰესს ორ წყალსაცავში სადღეღამისო შენახვის შესაძლებლობით, რაც პროექტს საშუალებას აძლევს წყალი შეინახოს 12 საათამდე და, შესაბამისად, ელექტროენერჯია გაყიდოს პიკური მოთხოვნის დროს.

კლიენტი, შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ არის სპეციალური დანიშნულების იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა მდინარე აჭარისწყალზე სამი ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობის მიზნით, რომელთაგან პირველი შუახვევის ჰესია. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ფლობენ „ქლინ ენერჯი ინვესტი“ AS (40%); „ტატა ფაუერი“ (40%); და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის InfraVentures (20%).¹

EBRD-ის დირექტორთა საბჭომ პროექტი 2014 წლის 30 აპრილს დაამტკიცა, როგორც A კატეგორიის პროექტი 2008 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის შესაბამისად. ამჟამად ტრანზაქცია სესხის დაბრუნების პროცესშია.

საჩივარი

2018 წლის 14 თებერვალს PCM-მა მიიღო შუახვევის ჰესის პროექტთან დაკავშირებული საჩივარი². საჩივარი გაგზავნა შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების 22 წარმომადგენელმა.

მოსარჩელებმა შეშფოთება გამოთქვეს პროექტის რიგ არსებულ და მოსალოდნელ გარემოებებთან და სოციალურ შედეგთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს სოფელ მახალაკიძეებზე, კერძოდ:

- მეწყრებისა და ქვათა ცვენის რისკი სავარაუდოდ გამოწვეულია პროექტის ფარგლებში შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ განხორციელებული მშენებლობისა და აფეთქების სამუშაოებით გვირაბის გაყვანის დროს, რაც საფრთხეს უქმნის თემის უსაფრთხოებას;

¹ შუახვევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შემაჯამებელი დოკუმენტი, იხილეთ აქ <http://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/შუახვევი-hpp.html>.

² 2018/03-ის საჩივარი, იხილეთ აქ <http://www.ebrd.com/work-with-us/project-finance/project-complaint-mechanism/pcm-register.html>.

- კერძო სახლების დაზიანება და გრუნტის წყლის დონეებზე ზემოქმედება, სავარაუდოდ, პროექტის ფარგლებში გვირაბის გაყვანისთვის ჩატარებული აფეთქებების და სამშენებლო სამუშაოების შედეგია, ასევე, შესაბამისი ქვათა ცვენა და ვიბრაციის ზემოქმედება;
- მდინარე აჭარის წყლის აუზში ბიომრავალფეროვნებაზე გავლენა;
- პროექტის მშენებლობასთან დაკავშირებული რისკების სათანადოდ ვერ მოგვარება და;
- წინა ხელშეკრულების სავარაუდო შეუსრულებლობა, რომელიც 2014 წელს აჭარის რეგიონულ მთავრობასა და თემის წევრებთან დაიდო, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

მოსარჩევეებმა მოითხოვეს, როგორც პრობლემების მოგვარების ინიციატივის, ასევე, შესაბამისობის მიმოხილვის ჩატარება PCM-ის მიერ.

იმის დადასტურების შემდეგ, რომ ბანკი და/ან კლიენტი დაინტერესებული არიან საკითხის მოგვარებით, PCM-მა 2018 წლის 15 მარტს დაარეგისტრირა საჩივარი და გამოაქვეყნა [PCM-ის რეესტრში ინგლისურად](#) და [ქართულად](#).

იმის გათვალისწინებით, რომ მახალაკიძეების თემის მიერ IFC CAO-სა და ADB OSPF-ში შეტანილი საჩივრები ეხებოდა იდენტურ საკითხებს, რომლებიც, ასევე, წამოჭრილი იყო PCM საჩივარში, ამ სამმა მექანიზმმა („მექანიზმები“) მხარეებისგან მოითხოვა თანხმობა თანამშრომლობასა და პრობლემის გადაჭრის ერთობლივი პროცესის წარმართვაზე, რაც უზრუნველყოფს დროისა და რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და მიდგომის თანმიმდევრულობას.

2. შესაბამისობის შეფასება

2018 წლის მარტიდან მაისამდე, PCM-მა შეაფასა საჩივრის შესაბამისობა, იმისათვის რომ დაწყებულიყო პრობლემის გადაჭრა და/ან შესაბამისობის განხილვა, 2014 წლის PCM-ის პროცედურულ წესებში განსაზღვრული შესაბამისობის კრიტერიუმების საფუძველზე. PCM-ის ექსპერტმა კონსტანტინ ადი გავრილამ და PCM-ის ოფიცერმა ერიკა ბახმა ეს შეფასება ერთობლივად შეასრულეს.³



სოფელი მახალაკიძეები

შეფასების პროცესის ფარგლებში, შესაბამისობის კრიტერიუმის შემფასებლებმა:

3

დასაშვებობის კრიტერიუმების შეფასების პროცესში, დასაშვებობის შემფასებლები არ განიხილავენ საჩივარში მოცემული ბრალდებების კონკრეტულ გარემოებს და არაკეთებენ დასკვნას საჩივრის სიმართლესთან დაკავშირებით.

- დაასრულეს მოსარჩელების, EBRD-ის მენეჯმენტისა და კლიენტის მიერ მოწოდებულისაჩივრის, პროექტის დოკუმენტაციისა და დამატებითი მონაცემების სიღრმისეული მიმოხილვა;
- ტელეკონფერენციის ფორმატში ჩაატარეს პირველადი შეხვედრები მოსარჩელებთან, კლიენტთან და ბანკის თანამშრომლებთან; და
- 2018 წლის 18-22 აპრილს, მხარეებთან კონსულტაციები ჩაატარეს ქვეყნის შიგნით.

ამგვარი ჩართულობით, მოსარჩელებმა და კლიენტმა დაადასტურეს ინტერესი, რომ PCM-სა და CAO-ს შეექმნათ ფორუმი გამარტივებული დიალოგისთვის, რომლის საშუალებითაც განიხილებოდა და გადაწყდებოდა საჩივართან დაკავშირებული საკითხები ბრალის ან დანაშაულის მიკუთვნების გარეშე, ADB OSPF-ს კი დამკვირვებლის სტატუსი ექნებოდა.

შესაბამისობის კრიტერიუმების შეფასების დროს, მხარეები, ასევე, შეთანხმდნენ, რომ EBRD PCM და IFC CAO ერთობლივად ხელს შეუწყობდნენ დიალოგის პროცესს, ხოლო ADB OSPF დამკვირვებლის როლს შეასრულებდა.

2018 წლის მაისში, საჩივარი ჩაითვალა პრობლემის მოგვარების ინიციატივის შესაბამისად და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასების ანგარიში გამოქვეყნდა [ინგლისურად](#) და [ქართულად](#).

3. PCM-ის პრობლემის მოგვარების ინიციატივა

3.1 პროცესის დიზაინი და შესაძლებლობების განვითარება



მედიაციის გუნდი და თემი

2018 წლის ივნისში, PCM-მა და CAO-მ დაიწეს მოსარჩელებსა და კლიენტს შორის შეხვედრების ორგანიზება, PCM-ის პრობლემის მოგვარების ექსპერტისა და CAO-ს მიერ დაქირავებული ადგილობრივი ქართველი მედიატორის დახმარებით. წინასწარი ნაბიჯის სახით, მედიაციის გუნდმა შეიმუშავა მხარეებთან მედიაციის პროცესის სტრუქტურა (მაგ. მოხდა შეთანხმება განსახილველ

საკითხებსა და შეხვედრის მიდგომებზე და დადგინდა ძირითადი წესები პრობლემის მოგვარების ინიციატივისთვის).

გარდა ამისა, მხარეებს მიეცათ პროცესის ძირითადი წარმომადგენლების დანიშვნის შესაძლებლობა, რომლებმაც, თავის მხრივ, გაიარეს ტრენინგი მედიაციის გუნდთან მოლაპარაკებების, კონფლიქტების მოგვარებისა და ეფექტური კომუნიკაციის საკითხებზე. PCM-ის ეს ტრენინგები დაეხმარა მხარეებს უფრო ეფექტურად და კონსტრუქციულად ჩართულობენ მედიაციის პროცესში და მიეღოთ ინფორმირებული გადაწყვეტილებები როგორც პროცესთან, ასევე, შედეგებთან დაკავშირებით. PCM-CAO-ის მედიაციის გუნდის მიერ ჩატარებული ადრეული შეხვედრები დაძაბული იყო: მოსარჩელების გადაუდებელი

აუცილებლობა იყო დარწმუნებულიყვნენ თემის უსაფრთხოებაში, ხოლო კლიენტი უარყოფდა ბრალდებას პროექტის გარემოზე ზემოქმედების შესახებ, რაც მხარეებს შორის საწყის კომუნიკაციას ართულებდა.

3.2 ჩარჩო შეთანხმება და პროცესის განვითარება

PCM-ისა და CAO-ის ორგანიზებით პირველი ერთობლივი მედიაციის დროს მხარეებმა ხელი მოაწერეს ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელშიც განისაზღვრა მედიაციის პროცესის სტრუქტურა და ძირითადი წესები. ჩარჩო შეთანხმებამ ასახა პროცესის მარეგულირებელი პრინციპები; მონაწილეთა როლები; შეხვედრის ფორმატი; და გადაწყვეტილების მიღების, კონფიდენციალურობისა და კომუნიკაციის წესები.⁴



მედიაციის ერთობლივი შეხვედრა

მოსარჩელებმაც და კლიენტმაც გაიზიარეს ხედვა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია, რომელსაც წარმოადგენს შუახევის მერი, მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეა პრობლემის მოგვარების ინიციატივაში და შეთანხმდნენ, რომ ის მედიაციის პროცესში მიიღებდა მონაწილეობას.

პირველ ერთობლივ შეხვედრაზე, მხარეებმა საჩივარში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებები გაცვალეს. ძირითადი საკითხები, რომელთა გადაწყვეტასაც მოსარჩელები ცდილობდნენ, პრობლემის მოგვარების ინიციატივის საშუალებით, მოიცავდა თემის უსაფრთხოების საკითხებს, როგორცაა მეწყერი, ქვათა ცვენა და ადგილობრივი წყალმომარაგების შემცირება. მოსარჩელებმა, ასევე, დაადგინეს, რომ განხილვის დამატებითი პრიორიტეტული მიმართულებები იყო კლიენტის აქტიური კომუნიკაციის საჭიროება დაზარალებულ თემებთან და სამომავლო თანამშრომლობა თემის განვითარების მხარდაჭერის მიზნით.

კლიენტის წარმომადგენლებმა განმარტეს კომპანიის პოზიცია და აღნიშნეს, რომ 2011 წლიდან პროექტის ზემოქმედების ზონაში ხორციელდებოდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობები (ყოველდღიური შეხვედრები, კონსულტაციები, ინფორმაციის გაზიარება), მათ შორის, მახალაკიძეების თემის მონაწილეობით. მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ გატარდა მონიტორინგისა და ზემოქმედების შემარბილებელი ყველა საჭირო ზომა, რაც გულისხმობდა ვიზრაციების მონიტორინგს, წყაროს წყლისა და სახლების შემოწმებას და შესაბამის რეაგირებას.

⁴მხარეები შეთანხმდნენ, რომ პროცესის განმავლობაში ჩარჩო შეთანხმებას განიხილავენ როგორც კონფიდენციალურს

მიუხედავად ორივე მხარის მიერ გაზიარებული მოსაზრებების განსხვავებისა, მხარეებმა განიხილეს შემდგომი შესაძლო გადაწყვეტილებები, რომლებიც სიცოცხლისუნარიანი და მისაღებია ორივესათვის, დაადგინეს მხარეებს შორის არსებული საინფორმაციო ხარვეზები, რომელთა მოგვარებაზე მუშაობა პრობლემის მოგვარების ინიციატივის საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი.

მხარეებს შორის საბოლოო ერთობლივი შეხვედრა გაიმართა ვიდეოკონფერენციის საშუალებით 2020 წლის 14 ივლისს PCM-ის ექსპერტისა და ადგილობრივი მედიატორის ორგანიზებით. დიალოგის ფარგლებში, მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ რეზოლუციის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა PSI-ის საშუალებით და რომ ისინი გააგრძელებენ ჩართულობას მცირე ჯგუფების ფორმატით, PCM-CAO-ის ფასილიტაციის გარეშე. პრიორიტეტულად განისაზღვრა კლიენტის მიმდინარე სამშენებლო საქმიანობის, უსაფრთხოების ზომებისა და რისკის მონიტორინგის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, რაც დაკავშირებულია პროექტის გარემოზე პოტენციურ ზემოქმედებასთან.

3.3 მოლაპარაკება ძირითად საკითხებზე და სამუშაო ჯგუფის შექმნა



სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

პრიორიტეტული საკითხების ერთობლივი იდენტიფიცირების შემდეგ, რომელთა მოგვარებაზეც მუშაობა წარიმართებოდა პრობლემის მოგვარების ინიციატივის საშუალებით, მხარეებმა დაიწყეს მოლაპარაკება და PCM-CAO მედიაციის გუნდის დახმარებით განიხილეს სამომავლო პერსპექტიული გადაწყვეტილებები. 2018 წლის სექტემბერში ჩატარებულ მეორე

ერთობლივ შეხვედრაზე

მხარეები შეთანხმდნენ სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, რომლის წევრებიც იქნებოდნენ მოსარჩელის, კლიენტისა და მუნიციპალური მთავრობის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანი იყო მხარეთა წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობისა და შემდგომი დაგეგმვისათვის კონსტრუქციული სივრცის შექმნა. სამუშაო ჯგუფის წევრებს ჰქონდათ ვალდებულება რეგულარულად მიეწოდებინათ ინფორმაცია მხარეებისათვის და საბოლოოდ ემსჯელათ ორმხრივად მისაღები სამოქმედო გეგმის შესახებ, საჩივარში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.



მედიაციის გუნდი და თემი

2018 წლის დეკემბერში, მესამე ერთობლივი შეხვედრის ორგანიზების პროცესში, მხარეების მოთხოვნით, მედიაციის ჯგუფი აჭარის რეგიონული მთავრობის

წარმომადგენლებს შეხვდა. მედიაციის გუნდმა მათ მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე დიალოგის პროცესის შესახებ და გაეცნო არსებულ სამთავრობო პროგრამას, რომელიც ფინანსურად ეხმარება ბუნებრივი კატასტროფებისაგან დაზარალებულ ოჯახებს (მაგ., ქართველი „ეკომიგრანტების“ პროგრამა). მახალაკიძეების თემის წევრებისთვის ამ პროგრამის აქტუალურობისა და რეგიონალური მთავრობის მხრიდან თემის პრობლემების მოგვარების დაინტერესების გათვალისწინებით, პროცესში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნა აჭარის მთავრობა და 2019 წლის ივნისში მედიაციის მეოთხე ერთობლივ შეხვედრას წარმომადგენლები დაესწრნ.

ერთობლივ შეხვედრებს შორის, ადგილობრივი PCM-CAO მედიაციის გუნდი განაგრძობდა მოლაპარაკებებს მხარეებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პირადად და დისტანციური ორმხრივი შეხვედრების მეშვეობით.

3.4 ერთობლივი პროგრამის შემუშავება თემის უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის

მეოთხე ერთობლივი შეხვედრის დროს, მხარეები შეთანხმდნენ "თემის უსაფრთხოებისა და განვითარების ერთობლივ პროგრამაზე", რომელიც ითვალისწინებდა მხარეებსა და ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს შორის თანამშრომლობის სტრუქტურის უზრუნველყოფას მახალაკიძეების განსახლების მოთხოვნის საპასუხოდ. კერძოდ, პროგრამამ გააერთიანა არსებული სამთავრობო ეკომიგრანტების პროგრამა და კლიენტის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის დამატებით ფინანსური კონტრიბუცია თემის წევრების განსახლების მხარდასაჭერად.



მედიაციის გუნდი და თემი

აჭარის რეგიონული მთავრობის წარმომადგენელმა დაადასტურა მთავრობის ვალდებულება, წარემართა ამგვარი ერთობლივი პროგრამის განხორციელება.

მხარეები მთლიანობაში შეთანხმდნენ, რომ პროგრამის განხორციელება შესაძლოა დაწყებულიყო 2020 წელს, მას შემდეგ რაც კლიენტი ა) დაიწყებდა ოპერირებას და ბ) დაამტკიცებდა ბიუჯეტს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამისთვის. თუმცა, თემის წევრებმა გამოთქვეს ეჭვები პროგრამის მოცულობასთან დაკავშირებით.

მეოთხე ერთობლივი შეხვედრის შემდეგ, PCM-CAO მედიაციის ჯგუფმა გააგრძელა მხარეებთან მუშაობა ორმხრივი შეხვედრების ფორმატში. შეხვედრების შედეგად, მედიაციის ჯგუფმა დაადგინა შეთანხმების მიღწევის შემზღვეველი პირობების არსებობა, თუმცა, ასევე გამოიკვეთა, რომ მონაწილეებს ჰქონდათ სურვილი შემდგომი ჩართულობის და დიალოგის გაგრძელებისა. ამ მიზნით, მოწვეული იქნა მეხუთე ერთობლივი შეხვედრა.

COVID-19-ის გამო დაწესებული სამგზავრო შეზღუდვების და სოციალური დისტანცირების პირობებში, PCM ექსპერტმა და ადგილობრივმა მედიატორმა ხელი შეუწყვეს სესიის ჩატარებას ვიდეოკონფერენციის საშუალებით, რომლის დროსაც, მხარეები პირადად შეხვდნენ ჰესის ოფისში სოციალური დისტანცირების წესების დაცვით. შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელს არ მოაწერდნენ მორიგების ხელშეკრულებას, თუმცა მზად არიან მონაწილეობა მიიღონ შემდგომ დიალოგში უფრო მცირე სამუშაო ჯგუფების ფორმატით, შესაძლებლობების განვითარების ტრენინგებზე შეძენილი ახალი უნარ-ჩვევების გამოყენებით.

4. პრობლემის მოგვარების შედეგი

მიუხედავად მხარეების მცდელობისა მოგვარებულიყო საჩივარში წამოჭრილი საკითხები, პროცესი შეთანხმების მიღწევის გარეშე დასრულდა. თუმცა, მხარეებმა გამოთქვეს სურვილი, განაგრძონ დიალოგის პროცესი მცირე სამუშაო ჯგუფების ფორმატში, მედიაციის დროს მიღწეული პროგრესის საფუძველზე. პრობლემების მოგვარების ექსპერტის მოსაზრებით, დავის მოგვარების მიმართულებით შემდგომი პროგრესი მოსალოდნელი არ არის. ამგვარად, PCM-ის პროცედურული წესების 27-ე პუნქტის შესაბამისად, პრობლემის მოგვარების პროცესი, რომელსაც ხელს უწყობდა PCM, დასრულდა.

დიალოგის პროცესის დროს, ჩატარდა ცხრამეტი მედიაციის სავლე მისია და ხუთი ერთობლივი შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო მორიგების შეთანხმება მიღწეული არ არის, მხარეების მიერ მთელი პროცესის განმავლობაში განხორციელებულმა ძალისხმევამ გამოიღო მთელი რიგი პოზიტიური შედეგები, მათ შორის:

- მახალაკიძეების უსაფრთხოების საკითხზე დისკუსიაში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ფარგლები გაფართოვდა; მუნიციპალური და რეგიონული მთავრობა დაინტერესებული და ჩართულია დიალოგის პროცესში;
- თემის მუდმივი მხარდაჭერის საჭიროება შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული გეოლოგიური რისკების საპასუხოდ დაადასტურა როგორც კლიენტმა, ისე მთავრობამ;
- ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მხოლოდ საქართველოს აჭარის რეგიონში გეოლოგიური რისკებით დაზარალებული თემებისთვის ხელმისაწვდომი სახსრები არ იყო საკმარისი სრული განსახლების მხარდასაჭერად და მომავალში სხვა გზების შესწავლაა საჭირო, თუ განსახლება კვლავ დღის წესრიგში დარჩება;
- შუახევის მუნიციპალიტეტი დათანხმდა „ბუნებრივი კატასტროფების ფონდის“ დაარსებას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შუახევის მუნიციპალიტეტის ყველა



თემი, კლიენტი, მთავრობა, და მედიაციის გუნდი

სოფლისთვის, კლიენტისა და სხვა დამფინანსებლების (მაგალითად, რეგიონში სხვა კომპანიებისთვის) შემოწირულობებისთვის. მხარეებმა განიხილეს მახალაკიძეების თემის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის მთელი რიგი ვარიანტები, რაც შესაძლოა მხარეებმა დეტალურად შეისწავლონ მომავალში;

- თემმა მიიღო ინფორმაცია პროექტის სტატუსის, მისი პოტენციური გარემოზე ზემოქმედებისა და დადგენილი შემამსუბუქებელი ღონისძიებების შესახებ.
- შეიქმნა დიალოგის უსაფრთხო სივრცე კლიენტსა და მახალაკიძეების თემს შორის თემის პრობლემებისა და მოლოდინის განსახილველად, მხარეებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარების მიზნით, მომავალში გაგრძელების პერსპექტივით; და
- განმტკიცდა მხარეების შესაძლებლობა ეფექტურად ჩაერთონ დიალოგის პროცესებში, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ კონსტრუქციულ ჩართულობას. სამუშაო ჯგუფის შექმნით ერთობლივად შეიქმნა ფორმატი, რომელიც გულისხმობს კლიენტს, მახალაკიძეების თემსა და ადგილობრივ მთავრობას შორის მუდმივ თანამშრომლობას.

5. დასკვნა

პრობლემის მოგვარების ექსპერტის აზრით, შემდგომი პროგრესი დავის მოგვარების მიმართულებით შესაძლებელი არ არის. PCM-ის პროცედურული წესების 37-ე მუხლის შესაბამისად, პრობლემის მოგვარების ექსპერტი არ ადგენს PCM ოფიცრის მიერ რაიმე შემდგომი მონიტორინგის ან ანგარიშგების საჭიროებას. შედეგად, საჩივრის განხილვა დასრულებულია და საქმე დაიხურა.

ინფორმირების მიზნით, პრობლემის მოგვარების დასრულების ანგარიშის გაზიარება მოხდება ყველა შესაბამის მხარესთან, ასევე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტსა და EBRD-ის დირექტორთა საბჭოსთან, ასევე, საჯაროდ გამოქვეყნდება და განთავსდება მექანიზმის ვებგვერდზე.